აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების კომისიის სხდომის

ოქმი №4

ქ.ბათუმი 27.03.2014 წ.

სხდომას უძღვებოდა პრიორიტეტების კომისიის თავმჯდომარე - რამაზ ბოლქვაძე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე).

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები:

იოსებ აბულაძე	-	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
რომან ბოლქვაძე	-	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;
ვალერი ბერაძე	-	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;
დემურ დიასამიძე	-	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსი;
კახა შაშიკაძე	-	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
კომისიის მდივანი	-	ცირა აბულაძე.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ნათია აფხაზავა - „სი-ეს-აი“ ბათუმის ფილიალის დირექტორი;

გიორგი შალამბერიძე - შპს „IGC&MM"-ის დირექტორის მოადგილე, ეკონომისტი.

დღის წესრიგი:

1. მიმდინარე წლის 21 მარტს პრიორიტეტების კომისიის #3 სხდომაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამების - ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა", ,,განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა", ,,განათლების ხარისხის გაუმჯობესება" ,,საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა", ,,აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა", ,,ფოლკლორის ხელშეწყობა", ,,კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია" ცვლილებებზე დასმულ შეკითხვებსა და გამოთქმულ შენიშვნებზე კომისიის წევრის ვალერი ბერაძის განმარტებების მიღების-გათვალისწინების შემდგომ ზემოაღნიშნული პროგრამების ცვლილებების კენწისყრაზე დაყენება.

2. ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - სსიპ ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს" პროგრამა ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია", სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის პროგრამა -,,სპორტის ხელშეწყობა" და ,,ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა" ცვლილებების შეტანის შესახებ - მომხსენებელი ვალერი ბერაძე.

3. ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამაში - ,,ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა" ცვლილების შეტანის შესახებ - მომხსენებელი იოსებ აბულაძე.

მოისმინეს:

სხდომის საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა მოისმინეს:

1. კომისიის წევრის - ვალერი ბერაძის მოხსენება მიმდინარე წლის 21 მარტს პრიორიტეტების კომისიის #3 სხდომაზე დასმულ შეკითხვებსა და გამოთქმულ შენიშვნებზე. კერძოდ, პროგრამის ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა" ქვეპროგრამაში „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება" სსიპ „ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის" საპროექტო დოკუმენტაციის ხელახალი შესყიდვასთან დაკავშირებით ვალერი ბერაძემ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული სკოლის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე ავანსის სახით გაცემული იქნა თანხა 2013 წლის ბოლოს და პროექტის მოწოდება უნდა განხორციელებულიყო 2014 წელს. ვინაიდან მომწოდებელმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, სამინისტრომ შეწყვიტა ხელშეკრულება და

თანხა დაბრუნებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე. ხოლო რაც შეეხება პროგრამის „განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა“ ქვეპროგრამაში „უმაღლესი განათლების ხელშეწყობა“, პროგრამის „განათლების ხარისხის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამაში „კონკურსები და ოლიმპიადები“, პროგრამაში „აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“, პროგრამის „კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია“ ქვეპროგრამაში „ხელოვნებისა და კულტურის საქმიანობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია“ და ქვეპროგრამაში „კულტურული ცხოვრების ხელშეწყობა სოფლად“ გამოთქმული შენიშვნები გათვალისწინებული იქნა და თითოეულ პროგრამასა თუ ქვეპროგრამაში შესაბამისად ასახული იქნა.

პროგრამაში „ფოლკლორის ხელშეწყობა“ დასმულ შეკითხვებზე განიმარტა, რომ არსებობს ანსამბლების წევრებისათვის (დიდები, ბავშვები) შესაძენი ფორმების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვები და ამ ანსამბლების შერჩევა განხორციელდება მუნიციპალიტეტებიდან შემოსული მოთხოვნების შესაბამისად.

ხოლო რაც შეეხება პროგრამაში „განათლების ხარისხის გაუმჯობესების“ ახალი ქვეპროგრამის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა წახალისება“ დამატებას, ამ ეტაპისათვის სამინისტრო აღარ გეგმავს და სამომავლოდ შესაძლოა ქვეპროგრამის წარმოდგენა მოხდეს მისი სრულფასოვნად ჩამოყალიბების შემდგომ.

განმარტებების მიღების-გათვალისწინების შემდგომ ასევე მოისმინეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - სსიპ ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს“ პროგრამა ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია", სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის პროგრამა -,,სპორტის ხელშეწყობა“ და ,,ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა“, ცვლილებების შეტანის შესახებ (იხილეთ მომხსენებლის ვალერი ბერაძის განმარტებითი ბარათი - **დანართი #1)**

1. კომისიის წევრის - იოსებ აბულაძის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამაში - ,,ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ ცვლილების შეტანის შესახებ - (იხილეთ მომხსენებლის იოსებ აბულაძის განმარტებითი ბარათი - დანართი #2)

აზრი გამოთქვეს და დასვეს შეკითხვები:

კომისიის თავმჯდომარემ რამაზ ბოლქვაძემ დასვა შეკითხვა, პროგრამა „სპორტის ხელშეწყობა“ ქვეპროგრამაში „სპორტული ღონისძიებები“ თუ რატომ ხდება ახალი ღონისძიების „წლის საუკეთესონის დაჯილდოების“ დამატება, მაშინ როცა არსებობს „სპორტის ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამა ,,აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები“ ანალოგიური შინაარსის.

გარდა ამისა კომისიის წევრებმა და დაინტერესებულმა პირებმა დასვეს შეკითხვები და გამოთქვეს შემდეგი შენიშვნები.

პროგრამა „სპორტის ხელშეწყობა“ ქვეპროგრამაში „აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები“ გასულ წელთან შედარებით თანხები გაზრდილია.

პროგრამა „სპორტის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამებში „სათამაშო სახეობათა განვითარების ხელშეწყობა“ და „აჭარის სპორტის სახეობათა ნაკრები გუნდების მზადება ,,ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თბილისი – 2015“ ცალკე გამოიკვეთოს კოორდინატორის ანაზღაურების ხარჯები და ასევე ამ ქვეპროგრამებში შემცირდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამივლინებო ხარჯების ზემოთ მოთხოვნილი თანხები.

ასევე პროგრამის „ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს ხელშეწყობა“ ფარგლებში ღონისძიება მსოფლიო „ზნატოკიადაში“ მონაწილეობა სად ჩატარდება? რამდენად მიზანშეწონილია მან-სან-კანის“ შავი ზღვის ლიგაში მონაწილეობის მიღება?

კომისიის თავმჯდომარემ რამაზ ბოლქვაძემ დასვა შეკითხვა პროგრამა „ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამა „მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ნერგების მიწოდება რატომ ხდება პირველ კვარტალში, მაშინ როცა საქმიანობის დროით გეგმში არ იყო გათვალისწინებული?

ასევე დაისვა შეკითხვა ახალ ქვეპროგრამაში „სასოფლო–სამეურნეო გაერთიანებების სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზება“ რამდენად აუცილებელია მანდარინის ნაყოფის დამკალიბრებელი და თხილის გამრჩევი დანადგარის შეძენა? სასურველია გაიწეროს კოოპერატივების შერჩევის კრიტერიუმები

კომისიამ დაადგინა:

1. დასმული შეკითხვებისა და გამოთქმული შენიშვნებზე კომისიის წევრის ვალერი ბერაძის განმარტებების მიღების/გათვალისწინების შემდგომ მოწონებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა“, ,,განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა“, ,,განათლების ხარისხის გაუმჯობესება“, ,,საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა“, ,,აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“, ,,ფოლკლორის ხელშეწყობა“, ,,კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია“ ცვლილებები, ამასთან ამოღებულ იქნეს პროგრამა ,,განათლების ხარისხის გაუმჯობესებიდან“ ქვეპროგრამა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა წახალისება“.
2. დასმულ შეკითხვებსა და გამოთქმულ შენიშვნებზე კომისიის წევრის ვალერი ბერაძის განმარტებების მიღების/გათვალისწინების შემდგომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში - სსიპ ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს“ პროგრამა ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია", სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის პროგრამა -,,სპორტის ხელშეწყობა“ და

,,ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა“ ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხი წარდგენილი იქნება მომდევნო პრიორიტეტების სხდომაზე.

3. დასმული შეკითხვებისა და გამოთქმული შენიშვნებზე კომისიის წევრის იოსებ აბულაძის განმარტებების მიღების/გათვალისწინების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამაში - ,,ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ ცვლილების შეტანის შესახებ - საკითხი წარდგენილი იქნება მომდევნო პრიორიტეტების სხდომაზე.

კომისიის წევრები:

იოსებ აბულაძე

რომან ბოლქვაძე

ვალერი ბერაძე

კახა შაშიკაძე

დემურ დიასამიძე

მოწვეული სტუმრები:

ნათია აფხაზავა

გიორგი შალამბერიძე

კომისიის თავმჯდომარე		რამაზ ბოლქვაძე
კომისიის მდივანი		ცირა აბულაძე